ში, 900-ზე მეტი ბავშვის ხმა ჩაინერა და 5000-ზე მეტი ნახატი შეგროვდა. მართალია, ამ ფილმში ყველა ვერ მოხვდა, მაგრამ საბოლოოდ, ანიმაციური ფილმი შეიქმნა. ამ ფილმში შევიდა არა მარტო თბილისელი ბავშვების ნახატები, არამედ რეგიონში მცხოვრები პატარების ნამუშევრებიც. მასალა უამრავი გვაქვს, მაგრამ დავამონტაჟეთ 9-წუთიანი ანიმაციური ფილმი, ასევე, გავაკეთეთ დოკუმენტური ფილმიც – ნელ-ნელა ფილმები შეიქმნება. საოცრად კარგი ბავშვები არიან, არა მარტო ხატავენ, გასაოცრად კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“, 5 წლის სვანი ბიჭი – თადეოზ ჯაფარიძე ისე კითხულობს პოემის სტრიქონებს, მსახიობებიც რომ ვერ კითხულობენ. მუშაობის პროცესსაც ვიღებთ, ძალიან საინტერესოა.

გვინდა, ბავშვების ნახატებით დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, სადაც საუკეთესო კალიგრაფიის ნიმუშები შევა. ბავშვებს სულ ვეუბნებით ხოლმე, გადაწერეთ, შეამკეთ, მორთეთ სტროფები...

სამომავლოდ ვგეგმავთ ექსპედიციებს გაგრძელებას და ნამუშევრების დაგროვებას, რომ უფრო დიდი ფილმი გაკეთდეს. ამისთვის კიდევ ბევრი მუშაობა დაგვიწევს – რასაკვირველია, მასში ვერ შევა მთლიანად „ვეფხისტყაოსანი“. ფილმს, ალბათ, ორ ნაწილად გავაკეთებთ – შესაძლოა ორსაათიანიც გამოვიდეს, სიუჟეტური ხაზი არ უნდა დაირღვეს, შერჩეული გვაქვს 300 სტროფი – საუკეთესო, ულამაზესი სტრიქონები.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ფილმი შეიქმნას, როგორც საქართველოს ყველა კუთხის ბავშვის განაცხადი, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების თანამედროვეობაში გადმოტანის მცდელობა იქნება.

ჰოდა, პატარებიდან დავიწყოთ!.. ისევე, როგორც პატარებს უშვებენ ხოლმე წყლის დასალევად – „წყალი პატარისაა!“

სადაც არ უნდა წავიდე, საქართველო ყველგან თან დამყვება და ის ულამაზესია



რუბრიკის სტუმარია ნინა კრეპერი, ანტიკონსტიტუციონალიზმის განმარტების ფაქულტეტის დოქტორანტი

– გამარჯობა ნინა, გვიამბე შენი მოსწავლეობის და სტუდენტურ პერიოდზე, რომელიც საქართველოში გაატარე

– დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ხაშურში. იქვე მივიღე საშუალო განათლება პირველ საშუალო სკოლასა და ლიცეუმ „ბალავარში“, ეს იყო 90-იან წლებში. მიუხედავად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა, მოსწავლეობის პერიოდში საუკეთესოდ მახსენდება. განსაკუთრებით გამოფიქრებული მხიარულება და საზრიანთა კლუბში მონაწილეობას, რამაც ხელი შეუწყო ჩემი სოციალური უნარების, კრეატივისა და თვითდაჯერებულობის ჩამოყალიბებას.

1998 წელს ჩავაბარე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხოური ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, სადაც სამი წელი ვისწავლე. ცხინვალის უნივერსიტეტი გახლდათ ლტოლვილი უნივერსიტეტი გორში, რომელიც ძლიერი პროფესორ-მასწავლებლებით გამოირჩეოდა. 2001 წელს გერმანიაში გავემგზავრე სასწავლებლად. აიხშეტის უნივერსიტეტში ჩემი მოხვედრა არ იყო რაიმე წინასწარ განსაზღვრული გეგმა, ეს შემთხვევით მოხდა. მიუხედავად ჩემი და ჩემი უსაყვარლესი გერმანული ენის მასწავლებლის, ქალბატონი თამარი კიმიერიძის დაუღალავი შრომისა, უცხო ენაზე სწავლა საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ამიტომ თავიდან როგორც ე.წ. „სტუმარი სტუდენტი“ (Gaststudentin) ვესწრებოდი ლექციებს, უმეტესწილად – გერმანული ენის კურსებს. პარალელურად, ვსწავლობდი მიუნხენის გოეთეს ინსტიტუტში. დღეს კი, როცა ამას ვწერ, მედიტება, ვინაიდან გერმანულს მშობლიურ ენასავით ვფლობ და თავად გოეთეს ინსტიტუტშიც მიმუშავია. 12 წლის წინ კი, მხოლოდ ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების საფუძველზე შევძელი სწავლის დაწყება გერმანიისტიკის და მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში, როგორც სრულყოფილი სტუდენტი.

– რა განსხვავებაა ქართულ და გერმანულ საუნივერსიტეტო სისტემებს შორის?

– განსხვავება საუნივერსიტეტო სისტემებში, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდია. გერმანიაში მაგისტრატურა ნიშნავს 4-5-წლიან მეცნიერულად გაღრმავებულ სწავლებას, ბაკალავრიატი კი მოიცავს სამ წელს და უფრო ზედაპირული სწავლებით ხასიათდება. ახალი სტუდენტური სასწავლო სისტემა აღარ მოიცავს მაგისტრატურას, არამედ აგებულია სამწლიან საბაკალავრო და, დამატებით, ორწლიან ნებაყოფლობით მასტერის სისტემაზე. თუმცა, სტუდენტების უმრავლესობა სწავლას ბაკალავრიატით არ ამთავრებს და განაგრძობს მასტერს, რომელიც ასევე ახალი კვალიფიკაციის მიღების საშუალებას იძლევა.

– გვიამბე აიხშეტის უნივერსიტეტის ისტორია, რა პროფესიის დაეუფლე და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– აიხშეტის უნივერსიტეტი მთელ გერმანიაში ერთადერთი კათოლიკური უმაღლესი სასწავლებელია, სადაც დაახლოებით 5.000 სტუდენტი სწავლობს. ეკონომიკური ფაკულტეტის გარდა, უნივერსიტეტი, ძირითადად, ჰუმანიტარული დარგის მიმართულებებს მოიცავს, როგორცაა: თეოლოგია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, პოლიტიკათმცოდნეობა, მუსიკა და ა.შ.

მე დავამთავრე მაგისტრატურა – გერმანული ენათმეცნიერება, გერმანული როგორც უცხო ენა და მუსიკათმცოდნეობა. ამ ფაკულტეტების კომბინაცია ჩემი ქართული განათლების, კვალიფიკაციის, ინტერესის და ენის სიყვარულმა განაპირობა. როდესაც აიხშეტის უნივერსიტეტში ჩავაბარე, გერმანიაში სწავლა მხოლოდ ბიუროკრატიული გადასახადის სანაცვლოდ იყო და არ აღემატებოდა 34,95 ევროს, რაც მესამე წელს შეიცვალა. 2003 წელს, მთავრობის შეცვლამ და რეფორმების დაწყებამ ქვეყანაში სწავლის საფასურის დაწესება გამოიწვია, რაც თითოეული რევიონის, მინის და უნივერსიტეტის შესაბამისად 350-დან 600 ევრომდე ვარიირებს. საბედნიეროდ, სტუდენტური გამოსვლების, მთავრობის და ახალი საპარლამენტო შემადგენლობის წყალობით, სწავლა ისევ უფასო გახდა. ასე რომ, ქართველი სტუდენტები, რომლებსაც განზრახული აქვთ გერმანიაში განათლების მიღება, ნუ შეფერხდებიან.

– გამოცდილებიდან გამომდინარე, რა რჩევა შეგიძლია მისცე სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესდებიან არიან, სწავლა გერმანიაში გააგრძელონ?

– მათ გერმანიაში შეუძლიათ მოიძიონ სტიპენდიები, რომლებიც გაიცემა აღმოსავლეთ ევროპის თემებთან დაკავშირებულ ფაკულტეტებზე წარჩინებული სწავლისთვის. შევეცადები, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ჩამოვთვალო: პირველ რიგში, ყველასათვის ცნობილი DAAD (Deutsche Akademische Auslandsdienst). იგი თბილისში, ზანდუკელის N16-ში მდებარეობს და მას დოქტორი, ქალბატონი ელიზაბეტ ფენორი ხელმძღვანელობს. სტიპენდიები გაიცემა სხვადასხვა ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის. აქვე შესაძლებელია ენის კურსის გავლა, გერმანიაში სწავლის დაწყებამდე. კონკურსანტებს ამისთვის გამოეყოფათ გარკვეული თანხა და, დამატებით, გზის საფასური; მეორე მნიშვნელოვანი ფონდი გახლავთ კონრად ადენაუერის ფონდი (Konrad Adenauer Stiftung Regionalprogramm politischer Dialog Sudkaukasus), რომელიც ასევე თბილისში, ფერისცვალების N2-ში მდებარეობს. სტიპენდიის მისაღებად საჭიროა უმაღლესი ქულები, პოლიტიკური და სოციალური ინტერესი, აგრეთვე, სწავლის დამთავრების შემდეგ, გერმანიაში, პოლიტიკურ სფეროში, მეცნიერებაში, პუბლიცისტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში როგორც ნაციონალურ, ასევე ინტერნაციონალურ დონეზე მუშაობის ინტერესი.

ასევე შესაძლებელია კოპერნიკუსის და ბერლინის უნივერსიტეტების, გერმანული პარლამენტის და საერთაშორისო პარლამენტის სტიპენდიის მოპოვება პოლიტოლოგიისათვის. გარკვეული ფონდები და უნივერსიტეტები კი, უკვე გერმანიაში მყოფ უსახსრო ან ფინანსურად არამყარ სტუდენტებს, სთავაზობენ გარკვეულ ფულად დახმარებას. თანხა ვარიირებს. აქვე მინდა აღვნიშნო, მიუნხენში ქართული სათვისტომოს ინიციატივა, ყველაზე წარმატებული სტუდენტისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემის თაობაზე. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ გერმანიაში სტუდენტები განსაკუთრებული ფასდაკლებებით სარგებლობენ კინო-თეატრებში, მუზეუმებში, ელექტრონულ აპარატურაზე და ხშირად, საკვებზეც გარკვეულ რესტორნებში.

– რა შეგიძლია გვიამბო აიხშეტის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ. რამდენადაც ვიცო, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, აქვე მინდა ისაუბრო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზეც

– სანამ ამ თემაზე ვისაუბრებ, მინდა დავინიშნო იქიდან, რომ გერმანიაში ლექციების რამდენიმე სახეობა არსებობს. უნივერსიტეტში განსხვავებულ შესავალს, ანუ საგნის

ტერმინოლოგიის დაუფლებას; ლექციას, სადაც პროფესორი კითხულობს მთელი 90 წუთის განმავლობაში; პროსემინარსა და მთავარ სემინარს, როცა სტუდენტები, მთელი სემესტრის განმავლობაში, ამუშავებენ რეფერატებს, თემებს და წარადგენენ კურსზე. ასევე კიდევ ერთი სახეობა – სავარჯიშო, სადაც, ძირითადად, პრაქტიკული მუშაობა მიმდინარეობს. პროსემინარი, მთავარი სემინარი და ლექცია არჩევითია. საბაკალავრო სისტემით კი სტუდენტებს გარკვეული საგნები და ლექციები სავალდებულოდ (ობლიგატორულად) ენიშნებათ. ჩემი სწავლის პერიოდში ობლიგატორულ ლექციებზე მეტი თავისუფლება იყო ლექციების არჩევის. შესაბამისად, ჩემი თვალსაზრისით, ლექციებიც უფრო საინტერესო იყო. საბაკალავრო და ქულების დაგროვების სისტემამ კი შეამცირა ნამდვილი ინტერესი საგნის და სწავლის მიმართ.

განსაკუთრებული თემებისა და პროექტების ირგვლივ არაერთხელ მომისმენია მონეული პროფესორების მოხსენებები. აიხშეტის უნივერსიტეტი ყოველ თვეში იწვევს ცნობილ მეცნიერებს თუ პოლიტიკოსებს სტუდენტებთან დისკუსიის გასამართავად.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აიხშეტის უნივერსიტეტის შენობის სიმცირისა, მას განსაკუთრებულად მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. გარდა ამისა, ის დაკავშირებულია ბევრ ბაზასთან, რომლებიც იშვიათი და ძნელად ხელმისაწვდომი წიგნების შეკვეთის საშუალებას იძლევა. ბიბლიოთეკაში სასიამოვნო ატმოსფეროა, რაც სტუდენტებს კიდევ უფრო ულამაზებს მუშაობის პროცესს. დამამთავრებელ საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნამუშევრებზე სამუშაოდ კი სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გარკვეული საფასურით, პატარა ოთახი დაიქირაონ. ასე რომ, ბიბლიოთეკაში შეხვედრით კაბინეტში ინტენსიურად მომუშავე სტუდენტებს და დოქტორანტებს.

– ზოგადად, რა შეგიძლია გვიამბო გერმანიის განათლების სისტემაზე?

– გერმანიის საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისგან იმით განსხვავდება, რომ დიფერენცირებული სწავლება უკვე სეკულარულ საფეხურზე, ანუ მესუთე კლასიდან იწყება. ნიშნების მიხედვით გერმანულ მოსწავლეებს გადანაწილება გიშნაზიში (საუკეთესო), რეალურ სკოლაში (საშუალო) და ე.წ. მთავარ სკოლაში (არასაკმარისი ქულებით). ზოგად განათლებასთან ერთად, მოსწავლეები, სკოლის სახეობის მიხედვით, ეუფლებიან რამდენიმე უცხო ენას (გიშნაზია). საშუალო განათლების მისაღებად მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიაღწიოს მეცხრე კლასამდე. ეს სერტიფიკატი მას ეხმარება აბიტურიენტობაში (გიშნაზია), ან ტექნიკურ სასწავლებელში ჩაბარებლად (რეალური სკოლა და მთავარი სკოლა). აბიტურის, ანუ 12-წლიანი სკოლის დასრულების შემთხვევაში, მოსწავლეებს

გზა ეხსნებათ უნივერსიტეტისკენ, რაც გერმანიაში ყველაზე მაღალ საფეხურად ითვლება. რეალური სკოლის მოსწავლეები ხშირად ტექნიკურ ინსტიტუტებში ან სასწავლებლებში მიდიან და დუალურ სწავლას განაგრძობენ, ხოლო მთავარი სკოლის ცხრანაწიანი სერტიფიკატით რაიმე ხელობას ეუფლებიან. ასეთი სელექციური საგანმანათლებლო სისტემა ჰუმბოლდტის გეგმა და დიდი ტრადიცია აქვს. რა თქმა უნდა, სკოლების შეცვლა შესაძლებელია თუ მოსწავლეები ნიშნებს გააუმჯობესებენ და სურვილს გამოთქვამენ მოდულის მიმართულების შეცვლაზე.

უნივერსიტეტი გერმანიაში არა მხოლოდ კვალიფიციურად კადრებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებლად მომუშავე აბსოლუტურად უშვებს. ანუ უნივერსიტეტში სწავლა ნიშნავს პროფესორის დაუხმარებლად ლიტერატურის მოძიებას, თემის მეცნიერულად, ძირფესვიანად დამუშავებას და მის პრეზენტაციას. პროფესორ-მასწავლებელი, ძირითადად, მენტორის როლს ასრულებს – ის მხოლოდ გამოუვალ სიტუაციაში ეხმარება სტუდენტს.

ტექნიკური ინსტიტუტები და სასწავლებლები კი უფრო სკოლის სახისაა და აქ პროფესორ-მასწავლებლებს უწევთ წინა პლანზე ყოფნა. სტუდენტები მოცემულ მასალას შეისწავლიან და შემდეგ, მზა ფორმულების სახით, პრაქტიკაში გამოიყენებენ.

– სწავლის პერიოდში ხომ არ მოგიწია სასწავლებლიდან რომელიმე ქვეყანაში წასვლა? როგორც ვიცი, ამჟამად საინტერესო პროექტზე მუშაობ, გვიამბე ამის შესახებ

– სწავლის პერიოდში, მიუხედავად ათასგვარი გაცვლითი პროექტების არსებობისა, არსად წავსულვარ, არასაკმარისი ფინანსების გამო. საბედნიეროდ, ჩემი აქტიუალური პროექტის ფარგლებში, ხშირად მომიწია სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში მოგზაურობა. ორიოდე სიტყვით ჩემი პროექტის შესახებ: ინტერდისციპლინარულ კოლეგიუმში, 2011 წლის ნოემბრიდან, სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ვამუშავებ პროექტს, რომელიც ამ კოლეგიუმის თემატურ ჩარჩოში სადოქტორო ნამუშევრის შექმნას ისახავს მიზნად. ჩვენს კოლეგიუმს ჰქვია „მიგრაცია რელიგიისა და კულტურების კონტექსტში გლობალიზაციის პროცესში“. მე, როგორც ენათმეცნიერი, წარვადგენ შემდეგ სოციოლინგვისტურ თემას – „who speaks what language to whom – and why? ენობრივი იდენტურობა და ენის არჩევანი სომეხი მიგრანტებისთვის საქართველოში და სომეხი და ქართველი მიგრანტებისთვის გერმანიაში“. პროექტის მიზანია კვალიფიციურად გამოიკვილოს მშობლიური ენების და რუსულის, როგორც ე.წ. „სახურავი ენის“ (Dachsprache) როლი, იდენტობის ვარიანტი ეტაპობრივი მიგრაციის შემთხვევაში. თემის ფოკუსში მოქცეულია ენობრივი იდენტობა და მრავალენოვანობის ფენომენი. ჩემი კორექტორები



ქართული სტუდენტები უსსოთში

არიან: ენათმეცნიერი, ინდოგერმანისტი, დოქტორი კერსტინ კაზიზი, ენათმეცნიერი გერმანისტი, პროფესორი ელკე რონებერგერ-ზიბოლდი და ენათმეცნიერი ტიპოლოგი, კავკასიოლოგი, პროფესორი ვოლფგანგ შულცი, მიუნხენის ულფვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტიდან. პროექტი ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია და, სავარაუდოდ, წელს დამთავრდება. თემატურად მიხედვით კონფერენციებში მონაწილეობა გერმანიასა (აიხშტეტი, მიუნხენი) და პოლონეთში (ვარშავა). ემპირიულად ჩატარებული გამოკითხვებისთვის კი ემოგზაურობდი გერმანიასა და საქართველოში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს რესპოდენტს თანამშრომლობისთვის, უღრმესი მადლობა შუამავლებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა კონტაქტები და იმ ანალიზის გაკეთება, რომელიც ჩემს სადოქტორო ნამუშევარში გამოქვეყნდება.

სტუდენტობის პერიოდში, სწავლის პარალელურად, გქონდა თუ არა მუშაობის შესაძლებლობა. ამჟამად რა საქმიანობას ეწევი?

არდადეგებზე ყოველთვის ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულებებში, როგორც პრაქტიკანტი ან კიდევ, როგორც ჩვეულებრივი მუშა. გარდა ამისა, არსებობს ბევრი საარდადეგო პროექტი რესტორნებში, ბარებსა თუ ქარხნებში. ჩემს ქალაქში, რა თქმა უნდა, ყველაზე სასურველი დამსაქმებელი AUDI-ს ქარხანაა. თითქმის 6 წელია, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე და ამჟამად ვმუშაობ, ვკითხულობ ლექციებს აიხშტეტის უნივერსიტეტში ენობრივ იდენტობაზე, პარალელურად, ვმუშაობ გერმანული ენის, როგორც მეორადი ენის დოცენტად იმავე უნივერსიტეტში ინგოლშტატის ტექნიკურ ინსტიტუტში. ჩემი პუბლიკა, ძირითადად, უცხოელი სტუდენტებია და კომპლექტური.

თუმცა, ხშირად ვარ ხანმოკლე პროექტებში, სადაც ბოლინგურ მოსწავლეებს, გერმანულ სკოლებში, ენას ვასწავლი. საგაზაფხულო სემეტრში კი, დაგეგმილია ქართული ენისა და კულტურის ლექციის შეთავაზება. იმედია, დაინტერესებული სტუდენტები მოვლენ.

ნინა, მიამბე, როგორ ცხოვრობენ გერმანელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის ყველაზე პრიორიტეტული, რით განსხვავდებიან ისინი ქართველი ახალგაზრდებისგან?

გერმანელი ახალგაზრდები ძალიან დამოუკიდებელი ცხოვრობენ. უკვე 17 წლის ასაკში ტოვებენ მშობლიურ სახლს და ცალკე საცხოვრებლად გადადიან. პირადი სფერო გერმანული საზოგადოებისთვის, როგორც ინდივიდუალური საზოგადოებისთვის, უადრესად მნიშვნელოვანია. ეს არის ერთ-ერთი დამახასიათებელი, რაც ჩვენი კულტურისგან განსხვავდება. ინდივიდუალური საზოგადოება ცოტა რთულად განსამარტივებელია, რადგან ის მის საპირისპირო ცნებას – ჯგუფურ საზოგადოებას მოიცავს და ირიტაციას იწვევს. მაგრამ ნება მომეცით, სანამ ახალი, უფრო მართებული ცნება შემოვიღო, ეს ტერმინოლოგია ავიხსნათ. ძირითადად, ინდივიდუალისტებად დასავლურ ევროპული კულტურები მოიაზრებიან, ვინაიდან ისინი ადამიანს და მის განვითარებას გამოყოფენ. ერთ კურობულ, მაგრამ საინტერესო მაგალითს მოვიტან – თუკი ესპანელ ახალგაზრდას დედა ეხმარება ზურგზე კრემის წასმას, გერმანელი ახალგაზრდა გაკვირვებით კითხულობს – კი, მაგრამ ეს ხომ შენი ზურგია, თავად ვერ წავისვამო?! დაინტერესებულებს შეუძლიათ გაცნონ საზოგადოებრივ და ოჯახის ფსიქოლოგიას. მკვდარი შეხედულება რომ არ ჩამოყალიბდეს, მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოება, როგორც არ უნდა იყოს ის, ისტორიული ტრადიციებიდან და კულტურის განვითარ-

ბიდან გამომდინარე, ღირებულებებს განსხვავებულად (და არავითარ შემთხვევაში – ცუდად ან კარგად) აყალიბებს.

გერმანია, მონინავე საავტომობილო ინდუსტრიით, რა თქმა უნდა, ინჟინერისა და ეკონომიკურ დარგებშია კარგად განვითარებული. განსაკუთრებულად ძლიერია ბავარიის მინა, სადაც აწარმოებენ ორი ძლიერი მარკის მანქანებს – Audi (ინგოლშტატი) და BMW (მიუნხენი). არც Mercedes-ის (შტუტგარტი) და Volkswagen-ის (ვოლფსბურგი) მარკები დაგვაინტერესებს. კარგადაა განვითარებული, აგრეთვე, მედიცინა და ჰუმანიტარული ფაკულტეტები.

სად და როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? მომავალი როგორ გეხსება, სად აპირებთ დაქვედრებას?

თავისუფალ დროს ვატარებ ჩემს ინტერნაციონალურ მეგობრებთან ერთად. დროის შესაბამისად დავდივარ გერმანიის ქალაქების ან ევროპის ქვეყნების დასათვალიერებლად და ვცდილობ, მაქსიმალურად განვვიტარდე. ეთნოლოგები ამბობენ: „თუ ადამიანი ერთხელ გადაიჭრის ფესვებს, მაშინ ის ყოველთვის მზადაა ისევ წავიდეს და გზა განავრძოს“. მე არ მინდა მოგვცეთ ჩემი ერთი ან მეორე სამუდამო საცხოვრებლის მისამართი, არამედ მინდა მოგწვით ორივეგან – ანუ აქაც და იქაც. ხანგრძლივი ცხოვრება ორ კულტურასა და ქვეყანას შორის ართულებს გადწყვეტილებას მიღებას. ხშირ შემთხვევაში, ეს საკითხი დღის წესრიგში სერიოზულად ოჯახის შექმნის დროს დგება. პროფესიულად და კარიერული თვალსაზრისით, ჩემს თავს ისევ აქ, გერმანიაში ან საზღვარგარეთ ვხედავ. ამავე დროს, არ გამოვირიცხავ არც სხვა კონტინენტს, მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკას (შტატებს). ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოში დაბრუნება და ჩემს ქვეყანაში მოღვაწეობა, რადგან საქართვე-

ლო ჩემს ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს. ყველა ჩემი სვლა, პირველ რიგში, საქართველოს უკავშირდება, ჩემს მშობლებს, და-ძმას, ახლობლებს და მეგობრებს.

როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

ჩემი ქართველი მეგობრების მაგალითიდან გამომდინარე ვიტყვოდი, რომ ეს ერთ-ერთი მიმზიდველი კრიტერიუმია დამსაქმებლისთვის. იმედი მაქვს, რომ საქართველოში მალე ინტენსიურად დაიკვირდება იმ საგანძურის სათანადო ანაზღაურება, როგორცაა საზღვარგარეთ შეძენილი ცოდნის და გამოცდილების დაფასება, იქნება ეს მენტალურ თუ ფინანსურ დონეზე.

დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ის ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. შორიდან მართლა უკეთესი ჩანს ჩვენი ქვეყანა, ვიდრე სინამდვილეშია?

ეს ძალიან ემოციური და კარგი შეკითხვაა. როცა ადამიანი საკუთარი ქვეყნიდან მიდის, მხოლოდ მაშინ აანალიზებს სამშობლოს ცნებას. ბავშვობაში დაზვიადებული ფრაზა, ახალ კონტექსტში რეალურ სახეს იძენს. სამშობლო, შორიდან შეიძლება გახდეს ის უბანი ან ქუჩა, სადაც გაიზარდე, ან კაკლის ხე, რომელიც ეზოში დგას. სამშობლო, შეიძლება გახდეს მხოლოდ ოჯახი და არა გეოგრაფიული მდებარეობა. ამ ჩამონათვალის კორინტელი სხვადასხვა ასაკის და განვითარების ფაზაში, სხვადასხვა ფორმით, ან სახით გამოემდგინება. სადაც არ უნდა წავიდე, საქართველო ყველგან თან დამყვება და ის ულამაზესია.

მანა ყიფიანი

გამოფანა

უნიკალური ხელოვნების მიმდევრები

ქალაქის ხელოვნების „ორიგამს“ უწოდებენ, რომლის ფესვები იაპონიაშია. მართალია, ქალაქი პირველად ჩინეთში გამოიგონეს, მაგრამ ხელოვნების დატვირთვა მას იაპონელებმა მისცეს. „ქალაქისგან გაკეთებულ ფიგურებს იაპონელები რიტუალურად აკავშირებდნენ ღმერთებთან. მაგალითად, ერთ-ერთი რიტუალით ქალაქისგან აკეთებდნენ პატარა კოლოფს (სანბო), რომელშიც დებდნენ თევზის ნაჭრებს და ბისტნელს. ამ კოლოფით მათ შინტიოსტურ ტაძრებში შესანიშნავი მიჰქონდათ. სწორედ ამან განაპირობა იაპონელებში ქალაქის ფიგურების და რელიგიის მისტიკური კავშირი, რასაც მოჰყვა ისეთი უნიკალური და სპეციფიკური ხელოვნების ჩამოყალიბება, როგორცაა ორიგამი“.

მე-12 საუკუნიდან „ორიგამი“ საიმპერატორო კარზეც იკავებდა ადგილს. განათლებულად ითვლებოდა ის, ვინც ორიგამის ხელოვნებას კარგად ფლობდა. მაგალითად, ხელოვნების ამ დარგით შექმნილი ფიგურები – პეპელა, ჩიტი და ყვავილის ფორმა „მეგობრობის და სიყვარულის ფესტს ნიშნავდა. ამით მათ უადვილდებოდათ გრძობების გამოხატვა“. ორიგამმა რელიგიური დატვირთვაც მიიღო. ყველაზე პოპულარული ფიგურა იაპონური „წერო“ (Tsuru) ორიგამის სავიზიტო ბარათადაა ქცეული, ბედნიერების და დიდხანს სიცოცხლის სიმბოლოა. იაპონელები ამბობენ, თუ 100 ცალ Tsuru ორიგამს გააკეთებ და სურვილს ჩაუთქვამ, ის აუცილებლად ასრულდება.

XX საუკუნეში ორიგამით სხვა ქვეყნებშიც დაინტერესდნენ. დიდ ბრიტანეთში, ჰოლან-

დიაში, საფრანგეთში გაიხსნა ორიგამის ხელოვნების კერები, სკოლები, დაწესებულებები და კავშირები. ჩვენთან ხელოვნების ეს დარგი, მართალია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს. ქალაქის ხელოვნებისა და დანიტერესება გამოიჩინეს სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მე-8 კლასელებმა – მარიამ ლოსაბერიძემ და ვერონიკა ხანთაძემ. ისინი მონდომებითა და ნებისყოფით ქმნიან თითოეულ დეტალს, რომელთა შერწყმით „სულს უდგამენ“ ფიგურებს. მათ მიანიათ, რომ დრო, შრომა, ნებისყოფა და ცდომილების გარეშე მუშაობა ის აუცილებელი თვისებებია, რომლებმაც ისინი დასახულ მიზანამდე მიიყვანა. მათ შექმნეს კოლექციები, რომლებშიც მრავლადაა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლარნაკები, ყვავილები, წეროები, ცხოველთა გამოსახულებები, აბსტრაქტული ხასიათის ფიგურები, განსაკუთრებული ყურადღება მაინც იაპონური წეროებისკენ – ბედნიერებისა და სიცოცხლის სიმბოლოსაკენ – აქვთ მიქცეული. გადამწყვეტილი აქვთ, შექმნან 100-100 წერო და ჩაიფიქრონ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სურვილი, რაც, მათი აზრით, უეჭველად შესრულდება. ხელმარჯვე გოგონები ამ სულისკვეთებით აგრძელებენ მუშაობას.

2014 წლის დადგომასა და ნათლისღების დღესასწაულს მიუძღვნეს მარიამმა და ვერონიკამ გამოფენა, რომელიც სკოლის ცენტრალურ შემოსასვლელში მოაწყვეს, ხოლო ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის, აღსანიშნავად გამოფენა ახალი მასალებით შეავსეს (ხელმძღვანელი – პედაგოგი მზია ზარნაძე). გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა.




რა. მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები – ყველა ერთნაირად მოიხილბა მათი შემოქმედებით. სკოლის დირექტორმა რეზო სირბილაძემ მადლობა გადაუხადა როგორც „პატარა ხელოვანებს“, ასევე მათ მშობლებს ხელშეწყობისთვის და უსურვა, რომ მათი შვილების „შედეგებს“ უფრო დიდი საგამოფენო დარბაზები დაემშვენებინათ.

გოგონებს სამომავლო გეგმებიც აქვთ. მათი სურვილია, გააფორმონ სკოლის რამდენი-

მე კაბინეტი, კერძოდ: ინფორმატიკის, სკოლის რესურსთა და ბიბლიოთეკა. ასევე სურთ, ქალაქისა და რესპუბლიკის მასშტაბით მოწყობილ გამოფენებში მიიღონ მონაწილეობა და საკუთარი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში ხელოვნების ამ დარგის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში.

მზია ზარნაძე სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი



მათემატიკა

გეობრაზიის კელაგობთა დასახმარებლად



მანანა სანიაშვილი
გეობრაზიის მასწავლებელი, მასწავლებლის
პროფესიული განვითარების ცენტრის
გეობრაზიის ტრენერი

„ერთი ჩვეულებრივი გაკვეთილი“

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა ინტერაქტიულ გაკვეთილებს განაპირობებს. ამ დროს აქცენტი კეთდება სწავლების ისეთ ფორმებზე, სადაც მოსწავლე სწავლის პროცესში აქტიურადაა ჩართული.

ინტერაქტიული სწავლება ორმხრივი პროცესია, რომლის დროსაც მოსწავლეები აქტიურ როლს ასრულებენ, პასუხობენ კითხვებს, თანამშრომლობენ ჯგუფური მუშაობის დროს, აქტიურად ერთმანეთს დისკუსიაში, გამოთქვამენ აზრს და ა.შ.

გეობრაზიის გაკვეთილზე რესურსების მრავალფეროვნება აქტიური და საინტერესო გაკვეთილების ჩატარების საშუალებას იძლევა. თუმცა მოსწავლეების გააქტიურება მნიშვნელოვან საშუალებებზეა დაყრდნობილი.

გთავაზობთ, გეობრაზიის გაკვეთილის გეგმას, სადაც გარდა სახელმძღვანელოსა და რვეულისა, არავითარი დამატებითი რესურსი არ არის საჭირო. გაკვეთილის დაგეგმვის ნიუანსებზე არ გავაზიარებულე ყურადღებას, რომელიც თეორიულად ძალიან კარგად არის განხილული არაერთ თეორიულ მასალაში.

მე-9 კლასი

თემა – ჰავის ძირითადი ტიპები.

ბაკვეთილის მიზანი – გააანალიზებენ რუკებსა და ცხრილებს, გაიგებენ ჰავის ძირითად ტიპებს, დაადგინენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებსა და ჰავის თავისებურებებს შორის.

გაკვეთილის მიზნები შეესაბამება მე-9 კლასის სტანდარტს.

ბმ.ი.1. მოსწავლეს შეუძლია რუკების და სხვა თვალსაჩინოებების (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვ.) დახმარებით დაახასიათოს ადგილი, მოვლენა და პროცესი; შეადგინოს თემატური რუკები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ანალიზებს რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების და სქემების საშუალებით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ინფორმაციას;
საკვლევი მიზნის გათვალისწინებით მოიძიებს და საჭიროებისამებრ იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს.

ბმ.ი.3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს და გააანალიზოს საქართველოს ბუნებრივი პირობები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს შორის და მსჯელობს მათ გავრცელებაზე (მაგალითად, საქართველოს რელიეფის ფორმებსა და ჰავის თავისებურებებს უკავშირებს ჰიდროგრაფიული ქსელის ჩამოყალიბება-გავრცელებას); ამ მაჩვენებლების მიხედვით ადარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს;

რესურსები – გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეებს აქვთ მხოლოდ ცხრილი, საქართველოს ფიზიკური, ადმინისტრაციული დაყოფისა და ჰავის ტიპების გავრცელების რუკები, რომელიც მე-9 კლასის საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოშია მოცემული (ავტორები: მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია, დ. კერესელიძე, ზ. სეფერთელაძე). მათ იციან ჰავის ჩამოყალიბების ფაქტორები და ჰავის ძირითადი ელემენტები.

გაკვეთილი გამოწვევით (წინა მასალის გამოყენებით) იწყება.

აქტივობა №1. გამოწვევა – კითხვა-პასუხი – 5წთ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს ჰავის ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორებს და ჰავის ძირითად ელემენტებს:

- რა არის ჰავა?
რომელია ძირითადი კლიმატნარმომქმნელი ფაქტორები?
რომელი ოროგრაფიული ერთეულები წარმოადგენს ძირითად და მეორეხარისხოვან კლიმატურ ბარიერებს?
რომელია ჰავის ძირითადი მახასიათებლები?
რა არის ჰავის ტიპი?

შემდეგი აქტივობა, უკვე ახალ მასალაზე მუშაობაა.

აქტივობა №2. გეოგრაფიულ საშუალებებზე (რუკები, ცხრილები) მუშაობა – 15წთ.

კლასი იყოფა ჯგუფებად. მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებში ურიგებს ბარათებს. თითოეულ ბარათზე წერია საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულის სახელი: იმერეთი, კახეთი, გურია, ქვემო ქართლი და ა.შ.

ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ სახელმძღვანელოში არსებული ცხრილი და რუკა: „ჰავის ტიპები“, საქართველოს ფიზიკური, ადმინისტრაციული დაყოფისა და კლიმატური ბარიერების რუკები და საკუთარი მხარე უნდა დაახასიათონ შემდეგი გეგმის მიხედვით:

- ა) გეოგრაფიული მდებარეობა (საქართველოს ფიზიკური და ადმინისტრაციული რუკების ანალიზი; მათ უნდა აღწერონ მოცემულ მხარეში, რომელი ოროგრაფიული ერთეულებია, რათა განსაზღვრონ რა გავლენას ახდენს თითოეული მათგანი ჰავის ტიპის ჩამოყალიბებაში);
ბ) ჰავის ტიპი (ჰავის ტიპების რუკის გამოყენებით განსაზღვრონ ჰავის რომელი ტიპებია მხარისთვის დამახასიათებელი);
გ) იანვრისა და ივლისის საშუალო ამპლიტუდა (დაადგინონ სახელმძღვანელოში არსებული ცხრილის გამოყენებით);
დ) ნალექების წლიური რაოდენობა (დაადგინონ სახელმძღვანელოში არსებული ცხრილის გამოყენებით);
ე) ახსნან მხარეში არსებული ჰავის ტიპის ჩამოყალიბების მიზეზები;
ვ) გააკეთონ ამინდის პროგნოზი მოცემულ მხარეში ჰაერის მასების შემოჭრის შემთხვევაში (აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ერთდროულად ორივე მხრიდან და სამხრეთიდან).

მასწავლებელი ჯგუფებს აკვირდება და რჩევებით ეხმარება, მოსწავლეების დასმულ კითხვებს პასუხობს.

აქტივობა №3. პრეზენტაცია – 20წთ.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევრებს. ადარებენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართვე-

ლოს ჰავის ტიპებს და გამოაქვთ დასკვნა, რომ ჰავის ტიპების ჩამოყალიბებაში მონაწილეობს როგორც ძირითადი კლიმატნარმომქმნელი, ასევე მეორეხარისხოვანი ბარიერებიც.

აქტივობა №5. შეფასება – 5წთ.

ექსპერტთა ჯგუფი არსებული რუბრიკების საფუძველზე აფასებს. ექსპერტთა ჯგუფი იქმნება წინასწარ. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ერთ ექსპერტს, რომელიც შეფასების რუბრიკების საშუალებით შეაფასებს პრეზენტაციებს.

ეს აქტივობა მოსწავლეების მეტაკოგნიტიური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს.

საშინაო დავალება: კონტურულ რუკაზე დაიტანონ ჰავის ძირითადი ტიპები.

აი ეს არის „ჩვეულებრივი გაკვეთილი“, სადაც დაზეპირებულ ტექსტს არავინ „მოყვება“ და მხოლოდ კითხვა-პასუხით არ შემოიფარგლება. პრეზენტაციის დროს მოსწავლეს უხდება ტექსტის თხრობა, მაგრამ არა სხვისი ნაზრდის, არამედ საკუთარი აზროვნების, მოცემული მასალის ანალიზის შედეგად შედგენილი ტექსტის პრეზენტაცია.

ამ გაკვეთილის დაგეგმვის დროს ჩემი მიზანი იყო, მეჩვენებინა, რომ მნიშვნელოვანია (სახელმძღვანელო) პირობებშიც შეიძლება მაღალი სააზროვნო უნარების (ანალიზი, შეფასება) განვითარება, იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომელიც „შემდეგ მთელი ცხოვრება გექნება“.

გთავაზობთ შეფასების რუბრიკას ქმსპერტთა ჯგუფისთვის

გეობრაზიულ საშუალებაზე (რუკები, ცხრილები) მუშაობის შეფასების რუბრიკა

Table with 5 columns (1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10) and 3 rows of evaluation criteria for geography tasks.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის შეფასების რუბრიკა

Table with 5 columns (1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10) and 1 row of evaluation criteria for cause-and-effect relationships.



მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზოტ ტესტების ქრებულეზს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული ქრებულის ფასი - 10 ლარი



ავტორები: თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

ნიბნი I - ძველი ქართული მწერლობა; ნიბნი II - „ვეფხისტყაოსანი“; ნიბნი III - XIX საუკუნის მწერლობა

- ◆ ქრებულეზში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიაღვივდებათ სავარაუდო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოწავის შედეგად თქვენ გაქვებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შეძლებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

ნიბნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

ქრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეკროდუქციები ხელმოწერის კაბინეტისთვის

- 1. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი
2. მწვანეთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლუზ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძლევი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - თიბორ რენუარი
9. საკვირაო გასერება გრან შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა
ერთი ცალის ფასი - 6.5 ლარი

თემატური კლასიკები გალალი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრებები
6. ძველმეცნიერები
7. საძარტველო მცენარეები
8. აღმზიანის აგებულება
9. ძველი რწმი
10. ნიღაბი - სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართული მეორის შეიარაღება და საბრძოლო ტაქტიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება
ერთი ცალის ფასი - 3 ლარი

ქართული მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-V ტომი, - 11 ლარი
◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I-VII ტომი - 11 ლარი
◆ ლევან გომთუა (7-ტომეული) I-II ტომი - 16 ლარი
◆ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი - 15 ლარი
◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
◆ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, IV, V, VI ტომი - 12 ლარი
◆ ვახტანგ ჭილბიძე (9-ტომეული) I-VII ტომი - 12 ლარი
◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
◆ ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი - 12 ლარი
◆ თამაზ ჭილბიძე (6-ტომეული) I-VI ტომი - 10 ლარი
◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, IV, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34x47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაულ იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარე კაკაბაძე
11. გურამ რჩეულიშვილი
12. იაკოვ ხუცესი
13. იონა საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჩულე
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით აღმაშენებელი
ერთი ცალის ფასი - 4 ლარი

ნიგნის თარო მიმდინარეობს ხელმოწერა

„ასოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“

- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბატინი - დამუშავებული ბატონობის ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელემენტები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
- მარგარეტ ღიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილეული ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვლარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიფორ ჰაბარდი - მონტესუზას ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ჯოზეფ კონრადი - სანთნათი კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმანლოცა


თითო ტომის ფასი - 12 ლარი

- ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყვნილოცა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერ კოინი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი




რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი
- ❖ ფანოზები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპინოვი ქალაქები
- ❖ ქიმიკა
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
 ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22



ფასი - 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე
 ქართული
 აგიოგრაფიული
 პროზა ლიტერატურის
 შემსწავლელთაგვის
 ფასი - 4 ლარი



თამაზ ვასაძე
 კომენტარებული
 ტექსტი და
 ანალიტიკური
 გზამკვლევი
 ფასი - 10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
 ქართული ენის
 სასკოლო განმარტებით
 განმარტებითი
 ლექსიკონი (ორტომეული)
 ფასი - 10 ლარი

ქიმიკა

საატმოსფერო-საბამოცლო
 საკითხები და ტანსტები
 ლ. თევზაძე
 ფასი - 3 ლარი

ქიმიკა

საატმოსფერო
 გამოსდისთვის
 ლ. მეტრეველი
 ფასი - 6 ლარი

ქიმიკა

დამხმარე სახელმძღვანელო
 უფროსკლასელებისა და
 აზიტირინტებისათვის
 შ. კატრიაშვილი,
 ნ. მაისურაძე
 ფასი - 4 ლარი

ბიოლოგია

საატმოსფერო
 გამოსდისთვის
 ლ. ბურღილაძე,
 დ. ბარამიძე,
 ქ. მალრაძე,
 ნ. სინარულიძე,
 მ. ბაგალიშვილი
 ფასი - 4 ლარი

ფიზიკა

საატმოსფერო
 გამოსდისთვის
 ქ. ტატიშვილი,
 ზ. ბერაია
 ფასი - 6 ლარი

გეოგრაფია

საატმოსფერო გამოსდისთვის
 ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
 ფასი - 6 ლარი

ისტორია

საატმოსფერო
 გამოსდისთვის
 ბ. ლორთქიფანიძე,
 ნ. ახმეტელი,
 ნ. მურღულია
 ფასი - 6 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოსდისთვის
 ბ. ლორთქიფანიძე,
 ნ. ახმეტელი,
 ნ. მურღულია
 ფასი - 9 ლარი

მათემატიკა

სწრაფი აზიტირინტებისა
 და სკოლის მოსწავლეთათვის
 ა. ნარეთელი
 ფასი - 5 ლარი

„ასოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“



მთავარი
 რედაქტორი:
 მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბლაშვილის ქ. №3
 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
 www.axaliganatleba.ge
 E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
 რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

 9 772233 386008 >